

რატომ ნამდვილი კორიანი: ?

www.cordesign.ge

სამწუხაროდ, დღეს საქართველოში კორიანის სახელით იყიდება უხარისხო პროდუქცია, რომელსაც არაპროფესიონალის თვალი ნამდვილი კორიანისაგან ვერ არჩევს, არასწორ გადაწყვეტილებას კი დროის გასვლის შემდეგ როგორც წესი მოჰყვება პრობლემები.

Corian®-ი შეიქმნა 1967 წელს კომპანია DuPont™-ის მიერ. პატენტის ძალით, განსხვავებით სხვა ანალოგიური მასალის მწარმოებლებისაგან, დუპონს აქვს კორიანის წარმოებისა და ხარისხის შექმნის 45 წლიანი გამოცდილება. კორიანი არის მყარი, ერთგვაროვანი მოსაპირკეთებელი მასალა, ზედაპირული ფორების გარეშე, რომლიც შედგება $\pm 1/3$ პოლიმეთილ მეთაკრილატისაგან (PMMA) და $\pm 2/3$ ბუნებრივი შენაერთებისაგან. მთავარი მინერალი არის ბაუქსიტიდან (მადანი) მიღებული ალუმინის ტრიჰიდრატი (ATH); ვინაიდან ის მაღალტექნოლოგიური ნაწარმია დიდი მნიშვნელობა აქვს ხარისხს როგორც ეკოლოგიურობის ასევე პრაქტიკული მოხმარების თვალსაზრისით.

დუპონის მიერ შექმნილი ინოვაციური პროდუქტი აბსოლიტურად უსაფრთხოა ჯანმრთელობისათვის. მასალა სერთიფიცირებულია GREEN GUARD-ის მიერ. მისი მაღალჰიგიენურობის გამო კორიანი არის სამედიცინო სფეროში ძალიან აქტიურად მოხმარებადი პროდუქცია. კორიანის წებოს მაღალი ხარისხი უზრუნველყოფს მასალის აბსოლიტურად შეუმჩნეველ შეწებებას, მწარმოებლის მიერ ტექნოლოგიის დაცვის შემთხვევაში. კორიანის ფილის ფერი დროის გასვლის შემდეგ არ ხუნდება და არ იჩენს ლაქებს, არ იკაწრება იოლად, არ ზიანდება ცხელი წყლის ზემოქმედებით და არ სკდება გადაბმის ადგილებში. კორიანი აქტიურად გამოიყენება ძვირფას ფასადებზე.

დუპონი მყარი ზედაპირების (Solid Surfaces) სფეროში არის მსოფლიო ბაზარის ლიდერი, ვინაიდან მასლა მისი ინოვაციაა და პატენტის ძალით ათეულობით წლების განმავლობაში იყო ერთადერთი მიმწოდებელი. როგორც დუპონის წარმომადგენლები ხშირად აღნიშნავენ, დუპონი როგორც ძალიან მასშტაბური შემსყიდველი მომწოდებლებისგან ექსკლუზიურ ფასებში ყიდულობს მაღალი ხარისხის ალუმინის ტრიჰიდრატს (ATH), რაც ამ მასალის მთავარი კომპონენტია (დაახლოებით 2/3). მაღალი ხარისხის ალუმინის ტრიჰიდრატი კი მწარმოებლებს საშუალებას აძლევს კორიანისაგან განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე მიიღონ უმაღლესი ხარისხის საბოლოო ნაკეთობა.

ასევე მნიშვნელოვანია რომ დუპონის პალიტრა იქმნება განვითარებული ქვეყნების წამყვანი არქიტექტურულ-დიზაინერული სტუდიების მიერ. მაგალითად, 2012 წელს დუპონმა კოლექციას დაამატა ახალი 50 ფერი რომლის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს, ქვემოთ მოცემულმა სტუდიებმა:

- **e15**, (designs by Philipp Mainzer) - გერმანია;
- **Moustache**, (designs by Inga Sempé, Ionna Vautrin, Benjamin Graindorge, Sébastien Cordoléani) - საფრანგეთი;
- **Rabih Hage**, (designs by Rabih Hage), დიდი ბრიტანეთი;
- **TAO Esterno**, (designs by Setsu and Shinobu Ito) იტალია.

როგორ გავარჩიოთ კორიანი შემცვლელებისაგან ?

მასალის შერჩევას იხელმძღვანელებთ იმ ორიგინალი ნიმუშებით რომლებსაც ბეჭდური სახით აწერია DuPont™Corian®-ი და ფერის შესაბამისი სახელწოდება. დავუშვათ, - Glacier White. კორიანის ყველა ფერს აქვს თავისი სახელწოდება.

კორიანის ყველა ფილას ქარხნულად აწერია სახელწოდება, მწარმოებელი ქვეყანა და საიდენტიფიკაციო კოდი. როდესაც მწარმოებელი შეგპირდებათ ნაკეთობის დამზადებას, აუცილებლად თქვენი თვალით ნახეთ ფილაზე ბეჭდური წარწერა. Corian®-ი ძირითადად იწარმოება აშშ-სა და იაპონიაში. რამოდენიმე ფერი კორიაშიც. თუ ფილას რომლისაგანაც გიმზადებენ ავეჯს არ აქვს ზემოთ აღნიშნული წარწერები, ეს ნიშნავს რომ მასალა არ არის კორიანი;

დამატებითი კითხვების გაჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით. ჩვენ როგორც კორიანის ერთადერთი ოფიციალური დისტრიბუტორი კომპანია საქართველოში გიპასუხებთ ნებისმიერ შესაბამის კითხვაზე. **ნებისმიერი მწარმოებელი რომელიც კორიანს გათავაზობთ მასალას ყიდულობს ჩვენთან.**

DuPont™Montelli®

Corian®-ის გარდა DuPont™-ი მომხმარებელს სთავაზობს Montelli®-ს, - შედარებით დაბალფასიან ანალოგიურ პროდუქციას ჩინეთის საწარმოდან. მონტელი სხვა მრავალი ჩინური ბრენდისგან განსხვავებით არის ეკოლოგიურად სუფთა და კარგი ხარისხის პროდუქტი, თუმცა მისი ტექნიკური მონაცემები და შესაბამისად ფასიც ჩამორჩება კორიანისას.

აქვე უნდა აღინიშნოს რომ მონტელის ფილებზე შესამტკიცებლად გამოიყენება კორიანის წებოები, რომელიც იწარმოება ამერიკაში.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: ტელ: 2306038; მობ: 598 322 675

DuPont™

DuPont™ მეცნიერული კომპანიაა, რომელიც დაფუძნდა 1802 წელს აშშ-ში. დღეისათვის მას მსოფლიოს 70 ქვეყანაში აქვს 135 საწარმო და 120 სამეცნიერო ლაბორატორია. მისი თანამშრომლების რიცხვი აღემატება 75000-ს. DuPont™-ის სამეცნიერო მიღწევების მიღებული პროდუქცია გამოიყენება თითქმის ყველა დარგში.

ეწვიეთ კორიანის ქართულ ვებ გვერდს: www.cordesign.ge

გმადლობთ რომ დრო დაგვითმეთ,

კეთილი სურვილებით,
კომპანია „ნექსტ ბილდინგ ტექნოლოჯის“ მარკეტინგის სამსახური